



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

N20190808

22 აგვისტო 2019

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის
კომიტეტის თავმჯდომარეს ქალბატონ სოფიო კილაძეს

ასლი: საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ
ანრი ოხანაშვილს

ასლი: საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს
ქალბატონ თამარ ხულორდავას

ქალბატონო სოფიო,

წარმოგიდგენთ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მოსაზრებებს
საქართველოს პარლამენტში 2019 წლის 22 მაისს ინიცირებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის
შესახებ“ კანონპროექტის თაობაზე.

ტექნიკური პროგრესისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ეპოქაში განსაკუთრებით
აქტუალურია პერსონალური მონაცემების დაცვის მყარი საკანონმდებლო გარანტიების არსებობა.
თუმცა, ამავდროულად არსებითად მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების დაცვასა და
გამოხატვის თავისუფლებას/ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შორის გონივრული,
პროპორციული და თანაზომიერი ბალანსის უზრუნველყოფა.

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და
ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ითვალისწინებს
როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის, ისე საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
საკითხებს. სწორედ ამიტომ 2014 წლიდან დღემდე ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების
ყოველწლიური ეროვნული სამოქმედო გეგმები მოიცავდა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ
ეროვნული კანონმდებლობის გაუმჯობესების ვალდებულებას. ვალდებულება
გათვალისწინებულია ასევე მოქმედი 2019 წლის სამოქმედო გეგმითაც. თავისთავად
პრობლემურია, რომ წლების განმავლობაში სახელმწიფო არ ასრულებდა სამოქმედო გეგმიდან
გამომდინარე აღებულ ვალდებულებას, გაეუმჯობესებინა საჯარო ინფორმაციის
მარეგულირებელი კანონმდებლობა საქართველოში. თუმცა, წარმოდგენილი კანონპროექტის

მიღების შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში არათუ არ გაუმჯობესდება, არამედ ზოგიერთი მიმართულებით მნიშვნელოვნად შეიზღუდება.

IDFI მიიჩნევს, რომ საქართველოს მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების, გამოხატვის თავისუფლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სათანადო გარანტიების უზრუნველსაყოფად აუცილებელია წარმოდგენილ კანონპროექტში ცვლილებების განხორციელება შემდეგი მიმართულებებით:

1. პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლები

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ დღეს მოქმედი კანონის მსგავსად, შემუშავებული კანონპროექტის მე-5 მუხლიც ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული საფუძვლების არარსებობის შემთხვევაში, არ მოხდება პერსონალური მონაცემების დამუშავება/გასაჯაროება. IDFI მიიჩნევს, რომ კანონპროექტით განსაზღვრული სამართლებრივი რეჟიმი მნიშვნელოვნად ზღუდავს როგორც სასამართლო გადაწყვეტილებების, ასევე სხვა სახის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

ა) სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ დღეს მოქმედი კანონის მე-5 მუხლისა და მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონპროექტის განხილვის პროცესში გაითვალისწინოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი და ასახოს ის შესაბამის საკანონმდებლო აქტებში.

კანონპროექტით გათვალისწინებული რეგულირების შენარჩუნების შემთხვევაში, კვლავ შეუძლებელი იქნება საერთო სასამართლოებიდან სასამართლოს გადაწყვეტილებების მიღება. კანონპროექტის თანახმად, მონაცემების დამუშავება დასაშვებია, თუ ის „აუცილებელია მონაცემთა დამუშავების ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვნის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი.“ აღნიშნულთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა¹, რომ ხსენებული ნორმა მიემართება საგამონაკლისო შემთხვევას და მასში მითითებული „კანონიერი ინტერესი“ უფრო ვიწროა, ვიდრე პირის ზოგადი ინტერესი, მიიღოს საჯარო ინფორმაცია. ასევე, არცერთი მოქმედი საკანონმდებლო აქტი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სასამართლოს აქტებში მოცემულ პერსონალურ ინფორმაციაზე პირის ხელმისაწვდომობა განხილულ იქნეს მის „კანონიერ ინტერესად“.

¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 63.

გარდა ამისა, კანონპროექტის მე-5 მუხლით დადგენილი ბალანსი კვლავ არ შეესაბამება კონსტიტუციით დაცულ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას², რადგან კანონპროექტის შესაბამისად, სასამართლოს აქტებში მოცემული პერსონალური მონაცემები, როგორც წესი, დახურული იქნება, თუ დაინტერესებული პირი არ დაასაბუთებს, რომ არსებობს აქტის ღიაობის მომეტებული ინტერესი.

ბ) არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავება

კანონპროექტის თანახმად „მონაცემთა შემდგომი დამუშავება საჯარო ინტერესების შესაბამისად არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისათვის არ ჩაითვლება თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებლად. ამ მიზნით მონაცემთა ხანგრძლივი ვადით შენახვა დასაშვებია, თუ მონაცემთა სუბიექტის უფლებათა დასაცავად მიღებულია სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები“.³ ეს ნორმა დაკავშირებულია “მიზნის შეზღუდვის” პრინციპთან (purpose limitation)⁴, რომლის თანახმად, მონაცემები უნდა შეგროვდეს/მოპოვებულ იქნეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი, წინასწარ განსაზღვრული მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით.

მართალია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ჭრილში აღნიშნული ჩანაწერი შეესაბამება ევროკავშირის რეგულაციას, თუმცა ის არ ითვალისწინებს სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის მიზნებისთვის მონაცემთა ხელმისაწვდომობის საკითხებს. დასახელებული ნორმა აწესრიგებს მხოლოდ მონაცემთა შეგროვება/მოპოვების წესებს. არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავების საკითხი არ არის მოცემული არც კანონპროექტის მე-5 მუხლში. შესაბამისად, კანონპროექტის არსებული სახით მიღების შემთხვევაში აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება დაინტერესებულ პირებზე გაცემის მიზნით კვლავაც დაუშვებელი იქნება.

საყურადღებოა, რომ წარმოდგენილი კანონპროექტით მოცემული მიზნებისთვის ინფორმაციის დამუშავება გათვალისწინებულია განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებთან მიმართებით (მუხლი 6). კერძოდ, მე-6 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ ის „აუცილებელია საჯარო ინტერესებისათვის არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისათვის, კანონის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს სათანადო და კონკრეტულ ღონისძიებებს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად“. ვფიქრობთ მე-6 მუხლით გათვალისწინებული მიდგომა უნდა გავრცელდეს ასევე იმ ინფორმაციაზეც, რომელიც არ წამოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს. აღნიშნული საჭიროება არ უნდა წარმოადგენდეს აზრთა სხვადასხვაობის მიზეზს, თუ გავითვალისწინებთ, რომ თავისი არსით განსაკუთრებული კატეგორიის

² იქვე, § 64.

³ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴ General Data Protection Regulation, Article 5(1)(b). <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32016R0679&from=EN>

პერსონალური მონაცემები სარგებლობენ დაცვის ბევრად მაღალი ხარისხით, ვიდრე სხვა სახის პერსონალური მონაცემები.

სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისათვის არქივში დაცული ნებისმიერი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია კანონპროექტის მე-5 მუხლმა გაითვალისწინოს მონაცემთა დამუშავების აღნიშნული საფუძველი.

გ) სხვა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

დღეს მოქმედ კანონთან შედარებით, შემუშავებული კანონპროექტით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების საფუძვლები უფრო ვიწროა. კანონპროექტი აღარ ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავების შემდეგ საფუძველს: „მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით“, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. დღეს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებში პერსონალური მონაცემების საჯაროობას, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებში არსებული პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობას და აშ. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში მონაცემთა დამუშავების აღნიშნული საფუძვლის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია შეიზღუდოს იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელთა საჯაროობას სხვა კანონები უზრუნველყოფს.

გარდა ამისა, კანონპროექტი აღარ ითვალისწინებს შემდეგ საფუძველს: „მონაცემთა დამუშავება უცილებელია კანონის შესაბამისად მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად“. აღნიშნულის ნაცვლად, გათვალისწინებულია უფრო კონკრეტული და შემზღუდველი ფორმულირება: „მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის“.

მონაცემთა დამუშავების ამომწურავი საფუძვლების ამგვარი ფორმულირების შენარჩუნების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილებების გარდა, ასევე შესაძლებელია საფრთხე შეექმნას სხვა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასაც, რომლის მიმართ არსებობს საჯარო ინტერესი ან რომელთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით. ამასთან ბუნდოვანია, რამდენად მოიცავს „მესამე პირის კანონიერი ინტერესები“, რაც მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთი საფუძველია, ისეთ შემთხვევას, როდესაც ცალკეული ინფორმაციის მიმართ საჯარო ინტერესი არსებობს.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ (შემდგომ - სზაკ) თანახმად⁵, „საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირის პერსონალური მონაცემები თვით ამ პირის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების,

⁵ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი.

⁶ „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, მუხლი 44.

ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად. თანამდებობის პირის, აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის პერსონალური მონაცემები საჯაროა.“ მიუხედავად იმისა, რომ სზაკ-ის თანახმად, თანამდებობის პირის/თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატის პერსონალური მონაცემები საჯაროა, ცალკეული გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლოა საზოგადოებრივი ინტერესი ასევე არსებობდეს სხვა ინფორმაციის მიმართ, რომელიც თანამდებობის პირს არ უკავშირდება. სზაკ ითვალისწინებს მონაცემების გასაჯაროებას საჯარო ინტერესების არსებობის შემთხვევაში, თუმცა ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ შესახებ კანონიც, რომელიც სპეციალურ კანონს წარმოადგენს, ასევე ითვალისწინებდეს ამგვარ ჩანაწერს.

გარდა ამისა, IDFI მიიჩნევს, რომ კანონპროექტმა უნდა გაითვალისწინოს მონაცემთა დამუშავების დღეს მოქმედი კანონით⁷ გათვალისწინებული შემდეგი საფუძველიც: „კანონის თანახმად, მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა ისინი ხელმისაწვდომი გახადა“, რადგან პერსონალური მონაცემების ერთხელ გამჟღავნების შემთხვევაში, მათი დაცვის ინტერესი არ არსებობს.

2. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების საფუძველები

კანონპროექტი ადგენს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების უფრო ფართო საფუძველს, ვიდრე ეს გათვალისწინებულია მოქმედი კანონით, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. მისასალმებელია ისიც, რომ კანონპროექტი აღარ ითვალისწინებს დამატებით ბარიერს⁸ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გასაჯაროებისა და მესამე პირისთვის გამჟღავნების შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მყარი გარანტიების შესაქმნელად, კანონპროექტი ამ ნაწილშიც საჭიროებს გაუმჯობესებას.

ა) მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვის სათანადო გარანტიები, როგორც მონაცემთა დამუშავების წინაპირობა

კანონპროექტის თანახმად⁹, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვის სათანადო გარანტიები და კანონპროექტით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველი. ბუნდოვანია, ამ შემთხვევაში კონკრეტულად რა იგულისხმება „მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვის სათანადო გარანტიებში“ და რამდენად შეიძლება იყოს ის მონაცემთა დამუშავების წინაპირობა. მონაცემთა დამუშავებისთვის აღნიშნულ წინაპირობას ასევე არ ითვალისწინებს ევროკავშირის რეგულაცია.¹⁰ ამგვარმა ჩანაწერმა შესაძლოა წარმოქმნას დამატებითი ბარიერი იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთ სახეს – მონაცემთა გამჟღავნებას და საფრთხე შეუქმნას ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

⁷ მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

⁸ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ დღეს მოქმედი კანონის თანახმად, დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისათვის გამჟღავნება, რაც ბლანკეტურ შეზღუდვას წამოადგენს.

⁹ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁰ General Data Protection Regulation, Article 9.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანონპროექტის IV თავი, რომელიც ეხება მონაცემთა დამუშავებისა და უფლებამოსილი პირის ვალდებულებებს, ითვალისწინებს მონაცემთა უსაფრთხოებასთან, ასევე მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვასთან დაკავშირებულ ზომებს. შესაბამისად, ბუნდოვანია რა მიზანს ემსახურება განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების საფუძვლებში ამ საკითხის დუბლირება და მისი მონაცემთა დამუშავების წინაპირობად განხილვა.

ბ) მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესი

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების კანონპროექტით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძველია: „მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, კანონის საფუძველზე და თუ განსაზღვრულია სათანადო და კონკრეტული ღონისძიებები მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად¹¹.“ იმის გათვალისწინებით, რომ დღეს მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის არსებობისას განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავებას, ამგვარი ჩანაწერი მისასალმებელ სიახლეს წარმოადგენს.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსჯავრდებასთან და ნასამართლობასთან დაკავშირებული მონაცემები განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს განეკუთვნება, რაც დღეს მოქმედი კანონმდებლობით, სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების გაცემაზე ბლანკეტური უარის საფუძველია. მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებული კანონპროექტი უშვებს საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა გასაჯაროების შესაძლებლობას, სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის კონტექსტში, შემოთავაზებული რეგულირებით დადგენილი ბალანსი კვლავ არ შეესაბამება კონსტიტუციით დაცულ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებას. ამგვარი ჩანაწერით, სასამართლო აქტები როგორც წესი, კვლავ დახურულია და მხოლოდ მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის შემთხვევაში გასაჯაროვდება, რაც ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს.

საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის მიმართ თავისთავად არსებობს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი იმის მიუხედავად, თუ რა სამართლებრივ საკითხს შეეხება, ვის მიმართ არის მიღებული და რა დატვირთვა აქვს კონკრეტულ დროში თუ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე თითოეულ ინდივიდუალურ საქმეზე მიღებულ სასამართლო აქტს.¹² საკონსტიტუციო სასამართლო ასევე არ გამორიცხავს კანონმდებლის ლეგიტიმურ შესაძლებლობას, რომ პირის შესახებ არსებული ცალკეული კატეგორიის ინფორმაციასთან დაკავშირებით დაადგინოს იმგვარი ბალანსი, რომლის ფარგლებშიც, როგორც წესი, არ გაიცემა სასამართლო აქტებში მოცემული პერსონალური მონაცემები უშუალოდ სუბიექტის ნების გარეშე. ასეთი რეჟიმი შეიძლება დადგინდეს ინფორმაციის გავრცელების ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება ინფორმაციის შინაარსის, სუბიექტის, გასაჯაროების ფორმის, ვადის, მეთოდის თუ სხვა

¹¹ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით „თ“ ქვეპუნქტი.

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 51.

გარემოებების გათვალისწინებით, განსაკუთრებით ინტენსიურ გავლენას ახდენს პირად ცხოვრებაზე. მაგალითად, ასეთ კატეგორიაში შეიძლება მოექცეს მონაცემები არასრულწლოვანი პირების შესახებ, ინფორმაცია ინტიმურ სფეროებთან დაკავშირებით და ა.შ.¹³ შესაბამისად, სასამართლოს მსჯელობა აჩვენებს, რომ ინფორმაციის დახურვის საფუძველი შეიძლება გახდეს არა უბრალოდ ინფორმაცია პირის მსჯავრდების შესახებ, არამედ ცალკეული საგამონაკლისო შემთხვევები, რომელიც ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მომეტებულ ინტერესს ადასტურებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი განმარტება ცხადყოფს, რომ პირის მსჯავრდების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებამ, სხვა დამატებითი გარემოებების გარეშე, არ შეიძლება იმდენად ინტენსიური გავლენა მოახდინოს პირად ცხოვრებაზე, რომ აუცილებელი გახდეს იმგვარი ბალანსის დადგენა, რომლის ფარგლებშიც, როგორც წესი, არ გაიცემა სასამართლო აქტებში მოცემული პერსონალური მონაცემები. კანონპროექტით გათვალისწინებული ნორმა კი სწორედ ამგვარ ბალანსს ადგენს.

შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის კონტექსტში, კანონპროექტის მე-6 მუხლი არ შეესაბამება კონსტიტუციით დადგენილ სტანდარტსა და საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებას.

გ) მონაცემთა სუბიექტის მიერ მის შესახებ მონაცემების გასაჯაროება

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების ერთ-ერთი საფუძველია მონაცემთა სუბიექტის მიერ მის შესახებ მონაცემების გასაჯაროება, მათი გამოყენების აშკარა აკრძალვის გარეშე.¹⁴ IDFI მიიჩნევს, რომ მონაცემთა სუბიექტის მიერ მის შესახებ მონაცემების გასაჯაროება თავისთავად უნდა იყოს მონაცემების დამუშავების საფუძველი ყოველგვარი დამატებითი დათქმის გარეშე („მათი გამოყენების აშკარა აკრძალვა“). აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია ამგვარ დათქმას არ ითვალისწინებს და დამუშავების საფუძვლად განიხილავს მონაცემთა სუბიექტის მიერ მონაცემების გასაჯაროებას.¹⁵

3. მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება

შემუშავებული კანონპროექტი ითვალისწინებს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლისა და განადგურების შესაძლებლობას შემდეგ შემთხვევებში:

- ა) მონაცემების დამუშავება აღარ არის საჭირო იმ მიზნისთვის, რომლისთვისაც მოხდა მათი დამუშავება;
- ბ) მონაცემთა სუბიექტი გაითხოვს თანხმობას, რომელიც წარმოადგენს მონაცემთა დამუშავების ერთადერთ საფუძველს;
- გ) მონაცემთა დამუშავება მოხდა/ხდება უკანონოდ.¹⁶

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 66.

¹⁴ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი.

¹⁵ General Data Protection Regulation, Article 9(2)(e). <https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2016/679/oj>

¹⁶ მუხლი 18.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც მონაცემთა დამმუშავებელს უფლება აქვს უარი თქვას ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

გარდა ამისა, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მის შესახებ მონაცემთა საჯაროდ ხელმისაწვდომი ფორმით დამუშავების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული საფუძვლების არსებობისას, ასევე მოითხოვოს ნებისმიერი მონაცემთა დამმუშავებლისგან მონაცემთა ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ან/და მონაცემთა ასლების ან მონაცემებთან დამაკავშირებელი ნებისმიერი ბმულის წაშლა. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია, მონაცემთა ყველა მიმღებს, ასევე ამავე მონაცემთა ყველა სხვა დამმუშავებელსა და უფლებამოსილ პირს, რომელსაც თავად გადასცა მონაცემები, შეატყობინოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია მონაცემთა დამმუშავებლების/უფლებამოსილი პირების ან მიმღებთა სიმრავლისა და არაპროპორციულად დიდი დანახარჯების გამო. აღნიშნული პირები შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ ვალდებული არიან შეწყვიტონ მონაცემთა დამუშავება და წაშალონ ან გაანადგურონ მონაცემები.¹⁷

IDFI მიიჩნევს, რომ გასაჯაროებულ მონაცემებზე ამგვარი რეგულირების გავრცელება დაკავშირებულია როგორც პრაქტიკულ, ასევე სამართლებრივ სირთულეებთან. აღნიშნული მუხლი ემსახურება იმ მიზანს, რომ ადამიანებმა შეინარჩუნონ კონტროლი მათ პერსონალურ მონაცემებზე, მაგრამ მეორე მხრივ, ინტერნეტისა და ტექნოლოგიების ეპოქაში, ერთხელ გასაჯაროებული მონაცემების კონტროლი და მათი შემდგომი გავრცელების შეზღუდვა პრაქტიკულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ინფორმაციის კოპირების და მისი გავრცელების სიმარტივის გათვალისწინებით, ინტერნეტ სივრციდან მონაცემების სრულად წაშლა ფაქტობრივად შეუძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა წაშლის/განადგურების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის ერთ-ერთ საფუძველს წამოადგენს ის შემთხვევა, როდესაც მონაცემთა დამმუშავება აუცილებელია გამოხატვის თავისუფლების უფლების განხორციელებისათვის¹⁸, პრაქტიკაში ამ კუთხით გარკვეული სირთულეები შეიძლება წარმოიშვას. სადავოა, რამდენად შეძლებს თითოეული მონაცემთა დამმუშავებელი სამართლიანი ბალანსის დადგენას პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის. ამასთან, ბუნდოვანია, რა ხდება მაშინ, როდესაც სხვადასხვა მონაცემთა დამმუშავებელი განსხვავებულ ინტერესს მიაჩნებს უპირატესობას, კერძოდ, მაშინ, როდესაც ერთი მათგანი მიიჩნევს, რომ მონაცემები გამოხატვის თავისუფლების განხორციელებისთვის აუცილებელია, ხოლო სხვა მონაცემთა დამმუშავებელი ასე არ თვლის.

პრობლემურია ისიც, რომ მონაცემთა წაშლის/განადგურების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძვლად გამოხატვის თავისუფლებასთან ერთად მითითებული არ არის ინფორმაციის თავისუფლებაც, რასაც ევროკავშირის რეგულაცია ითვალისწინებს.¹⁹

¹⁷ მე-18 მუხლის მე-5-7 პუნქტები.

¹⁸ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁹ General Data Protection Regulation, Article 17(3)(a).

იმის გათვალისწინებით, რომ მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის შემთხვევაში სანქციებია გათვალისწინებული, ამგვარ რეგულირებას შესაძლოა ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი, რადგან მტკიცების ტვირთი მონაცემთა დამმუშავებელს ეკისრება, მან უნდა შეაფასოს არსებობს თუ არა მონაცემთა წაშლის/განადგურების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი. შედეგად, სანქციების გათვალისწინებით, მონაცემთა დამმუშავებელმა უმეტეს შემთხვევაში შესაძლოა უპირატესობა მიანიჭოს პერსონალური მონაცემების დაცვას, რაც გამოხატვის თავისუფლების/ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არაპროპორციულად შეზღუდვის რისკებს წარმოშობს.

4. მონაცემთა დაბლოკვა

კანონპროექტი ითვალისწინებს მონაცემთა დაბლოკვის²⁰ შესაძლებლობას, რომელიც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის არაპროპორციული შეზღუდვის რისკს წარმოშობს. ამ უფლების განხორციელების საფუძველად მათ შორის მითითებულია შემდეგი საფუძვლები: მონაცემთა სუბიექტი სადავოდ ხდის მონაცემების ნამდვილობას ან სიზუსტეს; მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა.²¹

სათანადო დათქმის არარსებობის პირობებში, ივარაუდება, რომ მონაცემთა დაბლოკვის უფლება ვრცელდება მონაცემთა საჯაროდ ხელმისაწვდომი ფორმით დამუშავების შემთხვევაზეც. პრობლემაურია, რომ ამ უფლების განხორციელებისას არ არის გათვალისწინებული გამოხატვის თავისუფლების/ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დაცვა, ასევე საჯარო ინტერესის არსებობა, როგორც დაბლოკვაზე უარის თქმის საფუძველი.

მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა დაბლოკვას აქვს დროებითი ხასიათი და კანონპროექტის თანახმად, მონაცემები უნდა დაიბლოკოს დაბლოკვის მიზეზის არსებობის ვადით, ამგვარი რეგულირება მაინც საფრთხის შემცველია, რადგან ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად, ცალკეულ მონაცემებს შესაძლოა მნიშვნელოვანი ღირებულება კონკრეტულ დროსა და ვითარებაში გააჩნდეს.

დასკვნა

IDFI მიიჩნევს, რომ პერსონალური მონაცემების დაცვის პროცესში არათანაზომიერად არ უნდა შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება/ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება, ანუ ის უმთავრესი ღირებულება, რაც დემოკრატიული საზოგადოების სრულფასოვნად ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

საქართველოში ფუნქციონირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანო - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, თუმცა არ არსებობს ორგანო, რომელიც დააბალანსებდა აღნიშნული აპარატის საქმიანობას. არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დარღვეულია ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ინტერესებს შორის,

²⁰ მუხლი 19.

²¹ მე-19 მუხლი 1-ლი პუნქტი.

წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული რეგულირების აღსრულების პროცესში კი ეს ბალანსი შესაძლოა უფრო მეტად დაირღვეს.

წინამდებარე დოკუმენტში განხილულია ის საკითხები, რაც IDFI-ს მოსაზრებით, უარყოფითად აისახება გამოხატვის თავისუფლებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არ არსებობს „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ კანონი, რომელიც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მყარ გარანტიებს გაითვალისწინებდა, პერსონალური მონაცემების დაცვის მკაცრი სამართლებრივი რეჟიმის აღსრულების პროცესში შესაძლოა წარმოიშვას იმგვარი გამოწვევებიც, რომელთა პროგნოზირება წინასწარ შეუძლებელია.

შესაბამისად, მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს მოცემული კანონპროექტის განხილვის პროცესში გაითვალისწინოს როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის, ისე გამოხატვის თავისუფლებისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაღალი ინტერესი და არ დაუშვას ინფორმაციის თავისუფლების არსებული სტანდარტების გაუარესება.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი



შემსრულებელი:

ქეთევან კუკავა

საპარლამენტო მდივანი